

მიხეილ იოჰანი

# მიგრუნება



სულაკაურის  
გამომცემლობა

ბეჭდვა

თავი პირველი

გზაზე

„ფრენა რომ ჩემი საქმე იყოს, ფრთებიც ხომ მექნებოდა!“ – ფიქრობს ხატია და წინ ერთ ნაბიჯს დგამს. რიგს მორჩილად იცავს. ორი-სამი კაციც და მისი ჯერი მოვა. გარშემო იმდენი ადამიანი ირევა, ზოგმა ბავშვმა ჯერ თვლაც არ იცის იქამდე. გამყოფი ლენტის ვერცხლისფერ ბოდს დაყრდნობია და არ ფიქრობს, რატომ წამოვიდა აქ. გუშინ საკმარისად იფიქრა, თავიც კი ასტკივდა, ჰოდა, ხელმეორედ აღარ აიტკივებს. ანდა, რაა თავის ასატკივებელი?! ბილეთი ჰქონდა და წამოვიდა. არ გააფუჭა არც ბილეთი, არც ვიზა. დამორჩილდა სადღაც მიძინებულ საევაკუაციო გეგმას და წამოვიდა – ვერ გაიმარჯვა. ახლა აქ დგას, თბილი ქურთუკი აცვია და ყველა მას უყურებს.

– Next Please! – იძახის ოპერატორი.

„უჰ, უკვე?!“ – გაიფიქრებს გაკვირებული ხატია და წარბებს წევს. მისი ჯერი მოსულა. ჯიხურთან მიდის და ახალგაზრდა ლათინოს გოგოს პასპორტს უწვდის. გოგო ჯერ სურათს შეხედავს მთავარ გვერდზე, მერე კი მისთვის გაუგებარი სახელის მქონე მგზავრს – შეადარებს, იგივეა თუ არა და ილიმის. მერე კიდევ ერთხელ, უფრო ჩვევის გამო, ფურცლავს თითქმის ცარიელ, ერთვიზიან პასპორტს, თვალეებს ქუტავს, აკვირდება, საკუთარ თავს ნელი მოძრაობით რალაცას უდასტურებს და ხატიას ეკითხება:

– OoK. Already checked in?

– No.

– Ok, – პასუხობს და ბაზაში მონაცემები შეჰყავს.

- Next to the window, please.
- Let me check if there is one available, miss.
- Ok.
- Sorry, we don't have any seat left in front...
- No problem.
- Well then, 25A maybe?
- Yeah, great.
- And 12A from Munich.
- Ok, thanks.
- Put your baggage here, please.

- I don't have the baggage – იღებს ოპერატორი პასუხად და უკვირს – ამხელა რეისის მგზავრი და უბარგოდ სად გაგონილა?! თან ბარგი ნაყიდი აქვს. მაგრამ რა მისი საქმეა?! – Only this! – ეუბნება ხატია და გვერდულად ტრიალდება, რომ ცალ მხარზე ჩამოკიდებული ზურგჩანთა დაანახოს.

- Ok, – უღიმის ლათინოსი გოგო, ხვდება, რატომ ჩაუცვამს მგზავრს ზამთრის ქურთუკი, ასეთები იმდენი უნახავს!

- Turn a little bit, – ეუბნება ყოველგვარი „ფლიზ“-ის გარეშე და როცა ხატია შემოტრიალდება, მისი ზურგჩანთის სახელურს ნარინჯისფერ ლენტს უკეთებს. მერე ამობეჭდილ ჩასხდომის ბარათებს მის პასპორტში დებს და ხატიას უწვდის.

- Enjoy your flight, miss.

- Thank you, bye, – ემშვიდობება ხატია და უკვე სათვალავი ერევა, მერამდენედ ემშვიდობება დღეს ვილაცას.

სალოდინო არაფერი აქვს, ამიტომაც ჩიკაგოს უზარმაზარი აეროპორტის მაჩვენებელ ნიშნებს პასპორტკონტროლისკენ მიჰყვება.

ხედავს, რამდენი ადამიანი მიჰყვება ამ გამოსახულებებს მასავით. შიგადაშიგ ტაბლოებს ახედავენ, რეისების დროებს, ნომრებს, ჩასხდომის დარბაზებს ეძებენ – და ტაბლოზე მიშ-

ტერებულს ფიქრი გაუელვებს, რა უსირცხვილოდ გაგრძნობინებენ დიდი აეროპორტები საკუთარ უმნიშვნელობასო. ერთმანეთისგან არაფრით გამორჩეული ათასობით მგზავრი სადღაც მათთვის შეუსაბამო სივრცეში აჭრით ცდილობს გამგზავრებას, გაქცევას თუ დაბრუნებას. გარემო იმდენად სტერილურია, რომ ზოგჯერ ფიქრიც შეუძლებელია. აეროპორტის ზღურბლს გადმოაბიჯებ და მაშინვე გიპყრობს უმწეობის განცდა. აქ არავინ დაგიტოვებს, პირიქით, ყველა მომართულია, რაც შეიძლება მალე გაგაცილონ. რამე თუ გაგიჭირდება და იმის ილუზია გაგიჩნდება, ვინმე დამეხმარებაო, დიდი-დიდი ათი ნუთი დასჭირდეს ამ ილუზიის ჩამომსხვრევას. ისე კი ხატიას რა უნდა გაუჭირდეს?! რაც აქვს სულ, ზედ ასხია – საკუთარი თავი და ერთი ზურგჩანთა.

და დამარცხებითაც უკვე დამარცხდა.

და აღიარებითაც უკვე აღიარა ეს დამარცხება.

მეტი რაღაა?!

ამ დამარცხებაზეა, რომ ფიქრობს გამუდმებით, სხვაგან არ უქრის გონება. მაგრამ რაც უფრო მეტ სიტყვას პოულობს თავში ამ დამარცხების ასაღიარებლად, მით უფრო მეტ შეკითხვას სვამს და მერე თავსაც აჯერებს, რომ – იქნებ, გაიმარჯვა კიდევ?! ჰო, ასე მარტივად, რატომ არ შეიძლება დამარცხების აღმწერი და აღმნიშვნელი ყოველი ახალი სიტყვა პლუს ერთი გამარჯვება იყოს ხატიასთვის?! გამარჯვება თუ არა, ეს ერთი სიტყვა ხომ ერთი იმედია?! ახალი იმედი. იმიტომ, რომ ახლა, როცა ნულზეა, სხვა გზა აღარაა, უკან ველარ წავა, აუცილებლად ერთზე უნდა გადავიდეს. მერე ორზე, სამზე და ასე შემდეგ, იმიტომ რომ ადამიანის მარაგი მინუსებში არ გადადის. ძირს დაცემული კაცი ნულზე ქვემოთ როგორღა ჩავა?! ამზე ფიქრობს ხატია და ჯანდაბას, დაარქვას ამ ფიქრს გამარჯვება, რატომაც არა?! ვინ დაუშლის?!

საეჭვოდ არ მიიჩნიეს. ქამარი, ტელეფონი, ზურგჩანთა და ზურგჩანთიდან ამოღებული ლეპტოპი სკანერის, თავად კი დეტექტორის ქვეშ. ახლა უსიტყვოდ აბარგდება და წინ უკვე პასპორტკონტროლია.

ვიღაც ძალიან მაღალი კაცი აუჩქარებლად ფურცლავს მის 48-გვერდიან დოკუმენტს და უკვირს, რომ სხვა ბეჭედს ვერ პოულობს – მხოლოდ იმას, რომელსაც ეძებდა. ვიზაც ერთადერთია, ამერიკის. ალბათ გულში ფიქრობს, ეს რა მარტივად აუღლიაო, თუმცა რა მისი საქმეა, აბა, წინ გაიხედოს, ხატიას მერე რამდენი კაცი უცდის! ამიტომაც კიდევ ერთხელ ახედავს მისთვის გაუგებარი სახელის მქონე გოგოს, შეადარებს პასპორტის ფოტოზე, იგივეა თუ არა, და ილიმის. თარიღებიც წესრიგშია. კანონმორჩილი მოქალაქე გამოდგა.

– Purpose of visit, miss?

– I visited a friend, – ნელა პასუხობს ხატია.

– Four months?

– Yes, four months.

– Mhh, well... – კიდევ რალაცის თქმა უნდა მესაზღვრეს, მაგრამ არა, არა უშავს, დღეს ბევრი ლაპარაკის გუნებაზე არაა. თანაც ამდენი ხალხი იცდის.

– Final destination?

– Tbilisi, Georgia.

მესაზღვრემ მშვენივრად იცის, სად მიფრინავს ხატია, მაგრამ მაინც შეეკითხა.

– Well, REEpublic of Georgia... – ხმამაღლა ჩაილაპარაკებს, ვითომ თავისთვის და პასპორტში ბეჭედს ჩაარტყამს, – Enjoy your flight, miss, – ულიმის და კარს უღებს.

– Bye, – თავის დაკვრით ემშვიდობება ხატია და კარში გადის. ფრენამდე თითქმის საათ-ნახევარია დარჩენილი. ჩახდომამდე ერთი საათი.

კიდევ კარგი, რომ დარბაზი უკვე გამოყოფილია. პირდაპირ იქით მიდის. ისევ ნიშნებს მიჰყვება. როგორც სხვა ასობით მისნაირი.

ხუთ წუთზე მეტი არ დასჭირდა, დარბაზიც თითქმის ცარიელია. ჯდება. ახლა მაინც გაიხადოს ეს ქურთუკი! მძიმეა, სხვა თუ არაფერი! იხდის. ჩანთაში წიგნი აქვს, გუშინ ჩააგდო, გამოსვლის წინ გამოაყოლა ხელს მასპინძლის ბიბლიოთეკიდან. ჯექ კერუაკის „გზაზე“. ბევრისგან სმენია ამ რომანზე და ბარემ წაიკითხოს, დრო გაიყვანოს. სანამ გადაშლის, კიდევ ერთხელ იწყებს ფიქრს, თუ რატომ არ დარჩა, რატომ არ დაიკიდა ეს წინასწარ ნაყიდი ბილეთი, მხოლოდ საზღვარზე საჩვენებლად რომ იყიდა. ანდა რალა ამ თარიღზე ღირდა ყველაზე იაფი?! ხომ შეიძლებოდა ორი თვით ადრე ყოფილიყო უფრო იაფიანი ფრენა, ან ერთი თვის შემდეგ. რატომ არ გაიფუჭა ვიზა, რატომ ვერ გაიმარჯვა ამ ხულიგნობით?! სრული პასუხი ჯერ არ აქვს, მაგრამ გულს დაუფერა და ახლაც სჯერა – თუ წამოვიდა, ესე იგი, უნდა წამოსულიყო. ოთხი თვე, ესე იგი, ოთხი თვე. ამაზეც თავად ველარ აიღებს პასუხისმგებლობას. ესე იგი ასე იყო საჭირო. საერთოდაც რა სალაპარაკოა, ოთხი თვე რა არის?! გინდ ყოფილა, გინდა არა, ეგრე არაა?! ოთხი წელი ხომ არ ყოფილა, „ოო ძვირფასო ოთხო წელიწადო!“ – რომ მიაძახოს – „ნეტავ იმას ვინც, შენც რიგიანად მოგიხმარა“. არა. მართლა ასეა, გინდ ყოფილა, გინდ არა! ოთხ თვეში კი არა, ოთხ წუთში შეიძლება შეიცვალოს ადამიანიც და მისი ცხოვრებაც, მაგრამ მაინც, გინდ ყოფილა, გინდ არა!

ნიგნს ფურცლავს და იწყებს: I first met Dean not long after my wife and I split up.

ახერხებს, თავს ძალა დაატანოს და ბოლომდე წიგნში ჩაძვრეს. პირველი 15-20 გვერდი ცოტა უჭირს, ყოველი ახალი მგზავრის შემოსვლაზე დარბაზში თვალებს აქეთ-იქით აცე-



ცებს, მაგრამ რახან გადანყვეტილი ამბავია, რომ დროს ასე გაიყვანს, მგზავრები უნდა დაივიწყოს.

როცა იგრძნობს, რომ ჩასხდომა იწყება, ხატია წიგნს წყდება. უჰ, უკვე რამსიგრძე რიგი დამდგარა. წინ ვერ შეძვრა, არა უშავს, დაელოდება დანარჩენებს და ბოლოსკენ გავა. მაგრამ მთლად ასეც არაა. ჩასხდომა დანყებულა და ხატია ახლა მართლა გრძნობს, რომ მიდის. რომ რეალურად ახლა იწყება დაბრუნება; ყველაფერი მანამდე არაფერი ყოფილა – არც სახლიდან ავტობუსამდე გზა, არც ავტობუსით ჩიკაგომდე. არც ჩიკაგოს ავტობუსით აეროპორტამდე. არც ეს პასპორტკონტროლი და საერთოდაც, არაფერი. ჩასხდომა ახლა იწყება და ესე იგი, ახლა იწყება მისი დაბრუნებაც.

ილიმის და წიგნს უბრუნდება. „Until you learn to realize the importance of the Banana King you will know absolutely nothing about the human-interest things of the world.“ კითხულობს და არაფერი ესმის. ან კი რაა აქ გასაგები?! ტყუილად კითხულობს. არ მოსწონს წიგნი. შეიძლება სხვა დროს მოსწონებოდა, მაგრამ ახლა არ მოსწონს. რა აქვს ამ წიგნს საქებარიო, ფიქრობს და დგება. 45-ე გვერდზე თითს ჩადებს, ცალი ხელით ზურგჩანთას მხარზე მოიგდება და რიგისკენ მიდის. კითხვას მერე გააგრძელებს, ფრენისას. აბა, იმდენხანს რა აკეთოს?! თუმცა არა – რატომ წაიკითხოს წიგნი, რომელიც არ მოსწონს?! ამიტომაც გზად ნაგვის სამგანყოფილებიან ურნას უახლოვდება, რბილყდიანი წიგნია და ადვილად დაიხვევა, ჰოდა, ხატიაც ახვევს და ურნაში ჩაუძახებს. წამით შეშფოთდება, შეცდომით Waste-ში ჩაუგდია, მაგრამ არა უშავს, გადაიტანენ! თვითონაც გადაიტანს და მენაგვეებიც გადაიტანენ. კერუაკი ხომ გადაიტანს და გადაიტანს. ხატია სახლში ბრუნდება.

ახლა, როცა უზარმაზარ ბოინგში უკვე 25A-ზე არის მოკალათებული და დიდი მგზავრობისთვის ემზადება, ისევ გამარ-

ჯვებაზე იწყებს ფიქრს. და შესაბამისად დამარცხებზეც. უცბად აცნობიერებს, რომ ძალიან დიდი ხანია, რაც ხმა არ ამოუღია. საათ-ნახევარი. ბოლოს მესაზღვრეს დაემშვიდობა. მაგრამ ეგ რა ხმის ამოღებაა! ალბათ იქიდან უნდა აითვალოს, როცა მასპინძელს დაემშვიდობა. ესე იგი, სადღაც შვიდი საათი გამოდის. თუ გუშინდელი დამშვიდობებიდან აითვალოს, ჯოვანის რომ გამოუცხადა „Ciao“ და წამოვიდა?! არ გინდა ხატია, ტყუილად ნუ აიტკივებ თავს კიდევ ერთხელ. და მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი ხანია ხმა არ ამოუღია, ერთი საათი თუ ერთი დღე?!

– ხატია, – ჩურჩულით წარმოთქვამს თავის სახელს. ხმას ავარჯიშებს, ამონმებს, კიდევ თუ შერჩენია. მერე ხმას მოუმატებს და კიდევ ერთხელ, ახლა უკვე ოდნავ ხმამალლა იმეორებს – ხატია!

– Excuse me, – გაეპასუხება გვერდით მჯდომი 25B, – Did you ask me anything?

– No, no, – სწრაფად და დაბნეულად პასუხობს. მერე ილიმის და თავს ფანჯრისკენ ატრიალებს. და კიდევ ერთხელ, ჩურჩულით იმეორებს თავის სახელს.

მერე „ლუფტჰანზას“ ლოგოიან ცელოფნის პარკს ხევის, იქიდან პლედს იღებს და იხურავს, მთლიან სხეულზე, სადამდეც გასწვდება. გადმოიფარებს და ისე, რომ ვერც 25B-მ და ვერც სხვამ ვერავინ შეამჩნიოს, გამხდარი ხელის მტევანს მუცელზე შეიცურებს. ხელი ცივი აქვს, მუცელი – თბილი. მაგრამ ოდნავაც არ აწუხებს ეს შეუსაბამობა. პირიქით, თავისსავე სხეულში შერჩენილი ენერგია ხელს უთბობს. მერე, ალბათ ასე წუთ-ნახევარში ხელს მკერდისკენ აატარებს. ჯერ ერთ ძუძუზე დაიდებს, მერე – მეორეზე. კერტებს მოისრესს და ეფერება. მაგრად ისრესს, ტკივილამდე ისრესს, მაგრამ ასეთი სიამოვნება ბოლოს როდის განიცადა, არც კი ახსოვს. ახლა, როცა

უკვე საკუთარ თავს გრძნობს, ნამდვილ თავს, აღარ აღელვებს არც 25B და არც არავინ მის მიღმა; არ აინტერესებს, ხედავენ თუ არა ეს 25 BCDEGHJK მგზავრები მას. თვითმფრინავი ხომ სადაცაა აფრინდება!

წინ დიდი გზაა. მიუნხენი ოთხი საათით და მერე თბილისი. თბილისში კი დემნა ელოდება. წინასწარ იცის, რომ აეროპორტში დახვდება. და თუ ვინმე გელოდება, გადარჩები კიდეც – ამას უკვე აღარ ფიქრობს ხატია. მკერდის ფერებას განაგრძობს და კიდევ ერთხელ აღიარებს საკუთარ სახელს – ხატია – ახლა უკვე გონებაში, გამოუთქმელად.

თავი მეორე

# ჩათრევის მხედრობა

– უიუი, ჩემი სიკვდილი! – კივის ცირა და იაფფასიან მობილურ ტელეფონზე ნერვიულად კრეფს დემნას ნომერს, – მომიკლეს, მომიკლეს ამ მოსაკლავებმა. ეგენი მოუკვდნენ პატრონებს! – და წყევლა-წყევლით სამზარეულოში წყლის მოსატანად გარბის, – მაგათ აღარ გაუთენდეთ გიორგობის დილა, როგორ გაიმეტეს ასე! – არ ცხრება, ყვირილით ცდილობს დაელაპარაკოს უბნელ ბიჭს, – რანაირად, რა მოხდა, ჰა? რანაირად? ალო, ალო დემნა, სად დასაკარგავში ხარ, ამდენი ხანია რო გირეკავ, სად ხარ? მოდი მალე სახლში, მამაშენი მოიყვანეს ბიჭებმა. დედა, დედა, რატო აქვე არ მოვკვდები! მოდი მალე! ძლივს დგას ფეხზე. მოდი, მოდი მალე, სისხლებშია სულ, მომიკლეს, ბავშვი მომიკლეს, ეგენი მოუკვდნენ პატრონს ამაღამ! მოდი მალე, აღარ ვარ ქალი, გავთავდი.

დემნა, როგორც ჩანს, ზედმეტი კითხვების გარეშე უთიშავს.

ცირა ბორგავს, თავიდან თმის სამაგრი მოსძვრომია და გრძელი თეთრი თმა ალქაჯივით ჩამოშლია განიერ მხრებზე. შლეგივით დააქროლებს მძიმე სხეულს სამზარეულოსა და ლოჯიაში. დაბნეული ისევ შვილს მივარდება, აქეთ-იქით აწყდება, მერე ონკანთან ბრუნდება, ქიქაში წყალს ასხამს და ისევ შვილთან მირბის.

– მე ქალი არ ვიყო, მაგათ თუ გაჩენის დღე არ ვანყევლინო!  
– ისევ კივის.

– დედა უნდა ვუტიროთ! – ამოიბურტყუნებს პლატონი, ცირას ქმარი.

– შედი კაცო შენ, დაიძინე, გადი ოთახიდან, გადი ახლა!  
– დაუცაცხანებს ქმარს, მერე თავსა და თვალებს ჭერისკენ  
ალაპყრობს, – მაგათ ოჯახს არ გაეხადოს შავები, ასე როგორ  
გაიმეტეს ბავშვი! – იძახის და ბოლოს ნყლით სავსე ჭიქა შვილის  
ტუჩებთან მიაქვს, – ა, დედა, დალიე!

ლოჯიაში, ტახტზე, მოწყვეტით ნევს, უფრო კი აგდია ტან-  
საცმელშემოხეული და სახედასისხლიანებული კაცი. მარცხე-  
ნა თვალი დაბუმტვია, ტუჩიც დაბერილი და დაღურჯებული  
აქვს. დაბალ ჭალარაშეპარულ წვერზე – უფრო გაუპარსავი სახე  
რომ ეთქმის – სისხლი შეხმობია. ღონემიხდილი ფეხს ასავსა-  
ვებს და დედის დახმარებით ნყალს გაჭირვებით სვამს. მისი  
წივილ-კივილი ძალიან აწუხებს მაგრამ სისუსტისგან ხმას ვერ  
იღებს. რალაც ალბათ მოტეხილი აქვს, შეიძლება ვერც ტვინის  
შერყევას გადაურჩა, სისხლჩაქცევები ხომ სათქმელადაც არ  
ღირს, ისედაც ეტყობა. თავი უკან გადაუგდია, უბნელ ბიჭს კი  
მისივე მაისურის ნაფლეთით უჭირავს ნაცემის ცხვირი, რომ  
სისხლით ავეჯი არ მოითხვაროს.

– დედა უნდა ვუტიროთ! – არ ჩერდება პლატონი. გაბრაზე-  
ბული ცოლი, შენლა მაკლდი, შენ გიტირებ ახლა დედასო, ლოჯი-  
იდან გამოათრევს, მისაღებ ოთახში დივანზე ძალით აწვენს და  
საბანს აფარებს, შემოუკეცავს და ისევ შვილთან გადის.

– აქ გამოსული არ დაგინახო შენ! – დაუცაცხანებს უკანმო-  
უხედავად და მერე მოულოდნელად მრისხანე თვალებს უბნელ  
ბიჭს მიანათებს: – რა მოხდა, არ იტყვი?

– დაბრძანდით, ქალბატონო, – შეშინებული პასუხობს ბიჭი,  
– არაფერი ისეთი, ნუ ნერვიულობთ!

– რას ქვია, ნუ ვნერვიულობ! შვილი მომიკლეს, შენ კიდეც,  
არაფერი ისეთიო! – წამოხტება დასაჯდომად დახრილი ცირა,  
– ნუ ნერვიულობ, კაია!

– არაფერი ქალბატონო, ვსვამდით გვერდზე ქუჩაზე და...